PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "მეფუტკრეობა“- მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრები:

თამარ ახალაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:[redacted]

სახე:

[■] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

[ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

[ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

[ ] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

[ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

<u>ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:</u>

<u>სრული მონიტორინგის შემთხვევაში ივსება პროგრამებზე ცალ-ცალკე, კონკრეტული პროგრამის/პროგრამების მონიტორინგის შემთხვევაში ივსება კონკრეტულ პროგრამაზე/პროგრამებზე ცალ-ცალკე.</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მეფუტკრეობა	**20**	**17**- 08.04.2021წ მონაცემით **8** – 14.04.2021წ მონაცემით	-

შენიშვნა: დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს (08.04.2021წ.) აღინიშნა, რომ ამ მომენტისთვის 17 პროფესიული სტუდენტიდან 9 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და უახლოეს დღეებში გამოიცემა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის აქტი 9 პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, რის საფუძველზეც მოხდება მათი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა. აღნიშნულის შესახებ დამატებით მოხდება სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ინფორმირება.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2019 წლის შემოდგომაზე ჩარიცხულ 9(ცხრა) პროფესიულ სტუდენტს მ/წლის 14 აპრილს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 01-04/35 ბრძანებით (დანართი 1) მიენიჭა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ცვლილება აისახა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტუდენტთა რეესტრში. შესაბამისად, ამჟამად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ ირიცხება 8 (რვა) აქტიური პროფესიული სტუდენტი.

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრში შემოსული წერილით, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა განაცხადი ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შესახებ" შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის პროფესიული პროგრამების განყოფილების ბაზაზე ,,მეფუტკრეობის" მე-3 დონის მოდულური მიდგომით გასახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ დუალური მიდგომით განხორციელებასთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების დასაბუთებაში აღნიშნულია, დაწესებულებას საბჭოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 20-ით(მოდულური) და სურს არსებული კვოტის ფარგლებში 10 მოდულური და 10 დუალური. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განსახორციელებლად დაწესებულების სენაკის პროფესიული პროგრამების განყოფილების ბაზაზე ყველა საჭირო რესურსი არსებობს, თუმცა რეგიონში კვალიფიციურ მეფუტკრეებზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად, სენაკში ფუნქციონირებს კოოპერატივი „ოცნება“, რომელიც რამოდენიმე მეფუტკრე - ფერმერს აერთიანებს და რომელიც გამოთქვამს მზაობას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ დუალური მიდგომით განხორციელების გზით ითანამშრომლოს უნივერსიტეტთან, რეალურ სამუშაო გარემოში მოამზადოს კვალიფიციური პროფესიული კადრები - მეფუტკრეები და გააფართოვოს კოოპერატივი.
სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით №304184 (30/03/2021) შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
ბ) თამარ ახალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "მეფუტკრეობის“ (განხორციელების ადგილი ქ. სენაკი მშვიდობის ქ. N 192) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება, განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (არაგეგმიური მონიტორინგი).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი განაცხადი ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შესახებ" შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის პროფესიული პროგრამების განყოფილების ბაზაზე ,,მეფუტკრეობის" მე-3 დონის მოდულური მიდგომით გასახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ დუალური მიდგომით განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე თანდართული დოკუმენტები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით დაგეგმა და 2021 წლის 8 აპრილს განახორციელა დისტანციური გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის (რკ „ოცნება“) წარმომადგენლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სენაკის პროფესიული პროგრამების განყოფილების ბაზის (აღნიშნულ ლოკაციაზე არ ხორციელდება სხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამები, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა), საგანმანათლებლო (სასწავლო და დამხმარე) სივრცის გადამოწმება, ასევე რკ „ოცნება“-ს მეფუტკრე - ფერმერების მეურნეობების დათვალიერება.

(დისტანციური გასაუბრების განრიგი დასკვნის პროექტს თან ერთვის).

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2019 წლის 3-4 სექტემბერს, რომლის დროსაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ გაუცია.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცება აკადემიური საბჭოს დადგენილება №38, 09.08.2019წ. ცვლილება აკადემიური საბჭოს დადგენილება №17, 25.03.2021წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N 192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური, დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	10 მოდულური 10 დუალური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	**სრული შესაბამისობა**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

დაწესებულების მიერ გაკეთებული განაცხადის მიხედვით - მეფუტკრეობა საკმაოდ პერსპექტიული დარგია, საქართველოში ასევე კარგი პირობებია ბიომეფუტკრეობის და ეკოლოგიურად სუფთა თაფლის წარმოების თვალსაზრისით. დაწესებულებას მჭიდრო საქმიანი და საგანმანათლებლო კავშირები აქვს მეფუტკრეობის ასოიციაციის მეფუტკრე-ფერმერებთან, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელების პროცესში მონაწილეობენ როგორც პროფესიული მასწავლებლები, ასევე პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლები.

შესაბამისად, დაწესებულების გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ 20 პროფესიული სტუდენტის ზღვრული ოდენობიდან 10 პროფესიული სტუდენტის სწავლების დუალური მიდგომით განხორციელების შესახებ, პარტნიორებთან ერთობლივი თანამშრომლობით იქნა მიღებული, სრულად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულების მისიაში გაცხადებულ პროფესიული განათლების ხელშეწყობას და სტრატეგიული განვითარების გეგმაში მესამე სტრატეგიული ამოცანას, რაც გულისხმობს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და ახალი პროგრამების დამატებას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, შესაბამისად პროგრამაზე უზრუნველყოფილია ისეთ პირთა დაშვება რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. რაც შეეხება პროცედურებს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა სამუშაო გარემოში“ (დამტკიცებულია ცვლილებებით, შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება №16 (12.03.2021წ)), რომლის მიხედვით უკვე ახორციელებს სხვა პროგრამებს დუალური მიდგომით და შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც იგივე წესებით და პროცედურებით განხორციელდება აპლიკანტთა შერჩევა, პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობით, როგორც სხვა პროგრამების შემთხვევაში.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ შესაძლებელია 20 პროფესიული სტუდენტის მიღება, ორ ცვლაში სწავლებით. ამავე დროს დაწესებულება ითხოვს 10 პროფესიული სტუდენტის სწავლებას დუალური მიდგომით. ამ შემთხვევაში სწავლის შედეგების 55% -ის დადასტურება მოხდება რეალურ სამუშაო გარემოში, ხოლო სწავლება განხორციელდება სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით №16 (12.03.2021წ) დამტკიცებული „სამუშაოზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“-ს შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მეფუტკრეობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და პროგრამის ზოგად და პროფესიულ მოდულებში მითითებელი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ დაწესებულების მიერ პროგრამაში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია მოდულის სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებალოსილი ორგანოა აკადემიური საბჭო.

საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ დამტკიცებულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა „მეფუტკრეობა“, აღნიშნული სახელწოდება შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის კონცენტრაციის სახელწოდებას, შესაბამისად პროგრამის შინაარსთან/პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგებთან სრულ თანხვედრაშია და არ არის შეცდომაში შემყვანი. აღნიშნული ცვლილების (საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ გადუალურების) ფარგლებში პროგრამის სახელწოდების შეცვლა არ განხორციელებულა.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სოფლის მეურნეობა“ ერთ-ერთი კონცენტრაციის „მეფუტკრეობა“ მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს დაცული იყო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში სწავლის შედეგების გადანაწილება აკმაყოფილებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების დროს პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში არსებულ ჩანაწერს - პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- ✓ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ მიზანშეწონილობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ✓ „აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა სამუშაო გარემოში“ (დამტკიცებულია ცვლილებებით, შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება №16 (12.03.2021წ));
- ✓ „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“(დამტკიცებულია ცვლილებებით, შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება №16 (12.03.2021წ));
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ✓ ინტერვიურება დისტანციური გასაუბრების დროს.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დაწესებულების სენაკის პროფესიული პროგრამების განყოფილების ბაზაზე, შენობის პირველ სართულზე არსებულ **სასწავლო აუდიტორიაში - (A/C გარემო)** განლაგებულია 10 პროფესიული სტუდენტის და ერთი მასწავლებლის სამუშაო ადგილი, მასწავლებლის კომპიუტერი, პრინტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება, სასწავლო პლაკატები და მატერიალური რესურსების ის ჩამონათვალი რაც საჭიროა და საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალითაა გათვალისწინებული პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის;

მოდული „ინფორმაციული წიგნიერება- 1“ ხორციელდება ასევე შენობის პირველ სართულზე განთავსებულ კომპიუტერულ კლასში (B გარემო), რომელიც ასევე სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსებით;

აღნიშნულ სივრცეებში მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზღვრული რაოდენობის (20 პროფესიული სტუდენტი) ფარგლებში, 10 პროფესიული სტუდენტის სწავლება მოდულური მიდგომით და 10 პროფესიული სტუდენტის, დუალური მიდგომით სწავლების პროცესში, თეორიული სწავლება და სწავლის შედეგების დადასტურება.

საგანმნათლებლო პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში **პროფესიული მოდულების სწავლის შედეგები** მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე არსებულ საფუტკრე მეურნეობაში (ფუტკრის 18 ოჯახი) და ხელშეკრულების საფუძველზე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი კოოპერატივის „ოცნება“ მეფუტკრე ფერმერის მეურნეობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში დაწყებულია და მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული მეფუტკრეობის ახალი კეთილმოწყობილი სახელოსნოს შექმნის პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს მოდულური მიდგომით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, **დაწესებულების გადაწყვეტილებაა,** ნაწილობრივ დუალური მიდგომითაც პროგრამის განხორციელება (მოთხოვნილი რაოდენობა - 10 სტუდენტი), რომლის დროსაც სწავლის შედეგების 55 % მიღწევა მოხდება პრაქტიკის ობიექტზე, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში და რისთვისაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კოოპერატივთან „ოცნება“. კოოპერატივი შედგება 10 წევრისაგან. დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების პროცესში, სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, კოოპერატივის ყველა წევრი მეფუტკრე - ფერმერის მეურნეობა იქნება ჩართული სასწავლო პროცესში.

კოოპერატივი დუალური მიდგომით სწავლების დროს გამოყოფს ინსტრუქტორს, რომელსაც უშუალოდ ექნება ურთიერთობა სტუდენტებთან და სასწავლო დაწესებულებასთან.

პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებას, პირველად სამედიცინო დახმარებას - საჭიროების შემთხვევაში.

ასევე პარტნიორი ორგანიზაცია გამოთქვამს მზაობას მისცეს სტუდენტებს შრომის ანაზღაურება (შესაძლებელია ნატურით) და შესთავაზოს ბიზნესის დაწყება და კოოპერატივში გაწევრიანება.

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს, აღინიშნა, რომ ისინი საკმაოდ ატიურად თანამშრომლობენ „საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან“. ჩატარდა ტრენინგები დუალური სწავლების საკითხებთან დაკავშირებით. უკვე დასრულდა პირველი ეტაპი და იგეგმება მეორე ეტაპიც.

ამრიგად, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პარტნიორი ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

„მეფუტკრეობის“ პროგრამის ფარგლებში მოდულის განმახორციელებლებთან/პედაგოგებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მათი პირადი საქმის შემადგენელი დიპლომები/სერთიფიკატები/ცნობები სამუშაო ადგილიდან ადასტურებს კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა, რომელიც სასწავლო გეგმაში და ხელშეკრულებებშია გაწერილი, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პერსონალს, გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროფესიულმა მასწავლებლებმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება. დაწესებულება გეგმავს და პერიოდულად ანხორციელებს როგორც დარგობრივი ასევე ზოგადი პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით, მათთვის მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას, პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი კორდინაციას უწევს საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებელების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. დისტანციური ჩართვის დროს მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება. როგორც გასაუბრებით, ასევე პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეში არსებული დოკუმენტაციის გადამოწმებით, მას უდასტურდება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ დისტანციურად ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ სსსმ პირები ამჟამად არ ირიცხებიან, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (მუხლი 25) შესაბამისად, სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული და მორგებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებელის/ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ინკლუზიური განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტის მიერ.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებამ დისტანციური გასაუბრების დროს წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილისაგან შემოსავლების ნაწილში მოცემულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, ხოლო ხარჯვით ნაწილში მოცემულია მასაწავლებლის შრომის ანაზღაურება, მასალა ნედლეულის შეძენის ხარჯი, აღჭურვილობის განახლება - შევსება, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა მხარდაჭერის ღონისძიებების და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. რენტაბელობის ზღვარია - 5.

ბიუჯეტის მუხლებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია დაწესებულების ფინანსური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და რკ „ოცნება“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ხელმძღვანელის, განმახორციელებელი პერსონალის და პრაქტიკის ინსტრუქტორების პირადი საქმეები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ ხელმძღვანელის, განმახორციელებელი პერსონალის და პრაქტიკის ინსტრუქტორების ინტერვიურება;
- ✓ ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან გასაუბრება;
- ✓ სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება №44, 23.07.2020 წ.)
- ✓ დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეების და მატერიალური რესურსის დათვალიერება;
- ✓ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციის მეფუტკრე - ფერმერების მეურნეობების დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

29.04.2021წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: